

შ.პ.ს. „ენერჯი ინვესტი“ 2009

**შუახევი-ხულო (ხიჭაურის დასახლებიდან ბოღერძის
უღელტეხილამდე) P=6 კმ/სმ² გაზსადენის
სამშენებლო დოკუმენტის ქსელის ცვლილებების
პროექტი**

სკრინინგის ანგარიში

შინაარსი

1	შესავალი -----	3
2	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა -----	5
	2.1 პროექტის ზოგადი ტექნიკური მონაცემები-----	5
	2.2 საპროექტო მილსადენის დერეფნის ზოგადი დახასიათება----- -	5
	2.3 გაზსადენის ტრასის აღწერა	10
	2.4 დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსები	40
3.	გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება -----	41

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შუახევი - ხულო (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) $P=6\text{კგ/სმ}^2$ გაზსადენის სამშენებლო დოკუმენტის ქსელის ცვლილებების პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2019 წლის 11 აპრილს „შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, შპს „გაზპროექტი 2009“-ის შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) 54 კმ სიგრძის, $P=6\text{კგ/სმ}^2$ გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე გაიცა №2-318 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, „შპს „გაზპროექტი 2009“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2019 წლის 08 ივლისის №2-624 ბრძანებით შპს „გაზპროექტი 2009“-ის შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) 54 კმ სიგრძის, $P=6\text{კგ/სმ}^2$ გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ს.

შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) 54 კმ სიგრძის, $P=6\text{კგ/სმ}^2$ გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს შუახევის მუნიციპალიტეტის ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე ბუნებრივი აირის მილსადენის მშენებლობას, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება შუახევის და ხულოს დასახლებული პუნქტების გაზიფიცირება.

პროექტის მიხედვით, მილსადენის ძირითადი ნაწილი განთავსდება მიწისქვეშა თხრილში, ხოლო მცირე ნაწილი (მდინარეებისა და ბუნებრივი ხევების გადაკვეთის წერტილებში) კი ჰაერში. ბუნებრივი გაზის გამოყენება მოხდება, როგორც სათბობის ასევე საყოფაცხოვრებო-სამეურნეო მიზნებისთვის შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების დასახლებული პუნქტებისათვის.

გაზმომარაგების წყაროდ მიღებულია შუახევის მუნიციპალიტეტში (ხიჭაურის დასახლებაში) ახლად აშენებული $P=6\text{ კგ/სმ}^2$ $d=300\text{ მმ}$ გაზსადენი. გაზის მიწოდება გათვალისწინებულია მე-2 კატეგორიის IV-კლასის მაღალი წნევის ($P=6\text{ კგ/სმ}^2$) გაზსადენის ტრასით.

გაზსადენის ტრასის მთლიანი სიგრძე არის დაახლოებით 54 კმ, საწყის წერტილის კი წარმოადგენს შუახევის მუნიციპალიტეტში (ხიჭაურის დასახლებიდან) ახლად აშენებული $d=300\text{ მმ}$ მაღალი წნევის ფოლადის მიწისქვეშა გაზსადენი. გაზსადენის საწყის წერტილს კოორდინატებია $X - 223700$, $Y - 4614919$, ხოლო საბოლოო $X - 292533$, $Y - 4611720$.

ბათუმი - ანგისა - ახალციხე საავტომობილო გზის მონაკვეთზე დაბა ხულოდან გოდერძის უღელტეხილამდე დაგეგმილია გზის რეაბილიტაცია. გზის მშენებლობასთან ერთად უნდა განხორციელდეს გაზსადენის მშენებლობაც. მაღალი წნევის ($P=6\text{კგ/სმ}^2$) გაზსადენის საპროექტო ტრასა მიუყვება ($d=300\text{მმ}$) შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ანგისა-ახალციხე საავტომობილო გზას, გზის სავალი ნაწილიდან 0,5 – 2 მ-ის მოშორებით. საპროექტო ტრასა მიუყვება არსებული შიდა სახელმწიფოებრივ გზას და შესაბამისად ახალი ტერიტორიების ათვისება საჭირო არ არის.

ვინაიდან, გოდერძის უღელტეხილი - კურორტი „გოდერძი“-მდე დაგეგმილი გზის რეაბილიტაცია ვერ განხორციელდა, შესაბამისად ვერც გაზსადენის მშენებლობა განხორციელდება.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას შ.პ.ს. „ენერჯი ინვესტი 2009“-მ, როგორც მაღალი წნევის ($P=6\text{კგ/სმ}^2$) გაზსადენის მშენებელმა

ორგანიზაციამ შ.პ.ს. „ენერჯი ინვესტი 2009“-მ, წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს („დამკვეთს“) ხულო-ზარზმა საავტომობილო გზის გოდერძის უღელტეხილი - კურორტი გოდერძის მონაკვეთზე გაზსადენის მშენებლობის ალტერნატიული ტრასის შერჩევის თაობაზე, რის შემდგომ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს („დამკვეთის“) თხოვნით შეირჩა გაზსადენის მშენებლობის ალტერნატიული ახალი ტრასა და გოდერძის უღელტეხილი - კურორტი „გოდერძი“-მდე გაზსადენის ალტერნატიული ახალი 3730 გ.მ-ის ტრასა გაივლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაწილობრივ სათხილამურო ტრასაზე).

აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, შუახევი - ხულო (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) $P=6\text{კგ/სმ}^2$ გაზსადენის სამშენებლო დოკუმენტის ქსელის ცვლილებების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით მომზადდა სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, მოიცავს:

- ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

2. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

2.1. პროექტის ზოგადი ტექნიკური მონაცემები

შუახევი - ხულო (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) $P=6\text{კგ/სმ}^2$ გაზსადენის სამშენებლო დოკუმენტის ქსელის ცვლილებების პროექტის ზოგადი ტექნიკური მონაცემები მოცემულია ცხრილში 2.2.1.

ცხრილი 2.1.1. პროექტის ზოგადი ტექნიკური მონაცემები

	პარამეტრის დასახელება	განზომილება
1	პროექტის განხორციელების ადგილი	ხულოს მუნიციპალიტეტი
2	მუშა წნევა არაუმეტეს	0,6 მგპა
3	მილსადენის კლასი	მე-2 კატეგორიის IV-კლასის მაღალი წნევის (P=0,6 მგპა) გაზსადენი
4	მილის სტანდარტი	API 5L, PSL2
5	მილის დიამეტრი	300,0 მმ
6	კედლის სისქე	7,11 მმ
7	გაზსადენის ჩაღრმავება მილის ზედაპირიდან	2,0 მ
8	საპროექტო გაზსადენის სიგრძე	3,730 კმ

2.2. საპროექტო მილსადენის დერეფნის ზოგადი დახასიათება

შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) 54 კმ სიგრძის, P=6კგ/სმ² გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს შუახევის მუნიციპალიტეტის ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე ბუნებრივი აირის მილსადენის მშენებლობას, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება შუახევის და ხულოს დასახლებული პუნქტების გაზიფიცირება.

პროექტის მიხედვით, მილსადენის ძირითადი ნაწილი განთავსდება მიწისქვეშა თხრილში, ხოლო მცირე ნაწილი (მდინარეებისა და ბუნებრივი ხეების გადაკვეთის წერტილებში) კი ჰაერში. ბუნებრივი გაზის გამოყენება მოხდება, როგორც სათბობის ასევე საყოფაცხოვრებო-სამეურნეო მიზნებისთვის შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების დასახლებული პუნქტებისათვის.

გაზმომარაგების წყაროდ მიღებულია შუახევის მუნიციპალიტეტში (ხიჭაურის დასახლებაში) ახლად აშენებული P=6 კგ/სმ² d=300 მმ გაზსადენი. გაზის მიწოდება გათვალისწინებულია მე-2 კატეგორიის IV-კლასის მაღალი წნევის (P=6 კგ/სმ²) გაზსადენის ტრასით.

გაზსადენის ტრასის მთლიანი სიგრძე არის დაახლოებით 54 კმ, საწყის წერტილს კი წარმოადგენს შუახევის მუნიციპალიტეტში (ხიჭაურის დასახლებიდან) ახლად აშენებული d=300 მმ მაღალი წნევის ფოლადის მიწისქვეშა გაზსადენი. გაზსადენის საწყის წერტილს კოორდინატებია X =223700, Y = 4614919, ხოლო საბოლოო X = 292533, Y=4611720. საპროექტო ტრასა მიუყვება (d=300მმ) შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ანგისა-ახალციხე საავტომობილო გზას, გზის სავალი ნაწილიდან 0,5 – 2 მ-ის მოშორებით.

ვინაიდან, გოდერძის უღელტეხილი - კურორტი „გოდერძი“-მდე დაგეგმილი გზის რეაბილიტაცია ვერ განხორციელდა, შესაბამისად ვერც გაზსადენის მშენებლობა განხორციელდება.


აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას შ.პ.ს. „ენერჯი ინვესტი 2009“-მ, როგორც მაღალი წნევის (P=6კგ/სმ²) გაზსადენის მშენებელმა ორგანიზაციამ შ.პ.ს. „ენერჯი ინვესტი 2009“-მ, წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს („**დამკვეთს**“) ხულო-ზარზმა საავტომობილო გზის გოდერძის უღელტეხილი - კურორტი გოდერძის მონაკვეთზე გაზსადენის მშენებლობის ალტერნატიული ტრასის შერჩევის თაობაზე, რის შემდგომ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს („**დამკვეთის**“)

თხოვნით შეირჩა გაზსადენის მშენებლობის ალტერნატიული ახალი ტრასა და გოდერძის უღელტეხილი - კურორტი „გოდერძი“-მდე გაზსადენის ალტერნატიული ახალი 3,730 კმ-ის ტრასა გაივლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაწილობრივ სათხილამურო ტრასაზე). გაზსადენის საწყის წერტილს კოორდინატებია $X = 292598$ $Y = 4611719$, ხოლო საბოლოო $X = 291343$, $Y = 4612435$.

საპროექტო ტრასის და ახალი ალტერნატიული 3,730 კმ-ის ტრასის მონაკვეთი ადგილმდებარეობა წარმოდგენილია სურათზე 2.2.1. როგორც 2.2.1. სურათზეა მოცემული საპროექტო მილსადენის განთავსების დერეფნის ნაწილი მოქცეულია ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული „გოდერძის“ უბნის ფარგლებში. თუმცა, საპროექტო ტრასა მიუყვება არსებული შიდა სახელმწიფოებრივ გზას და შესაბამისად ახალი ტერიტორიების ათვისების საჭიროება არ იყო. ხოლო ახალი ალტერნატიული 3,730 კმ-ის ტრასის მონაკვეთი მოქცეულია ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული „გოდერძის“ უბნის მიმდებარე არეალის ფარგლებში.


54 კმ სიგრძის საპროექტო ტრასის 20 000 მასშტაბის გენგეგმა (ახალი ალტერნატიული 3,730 კმ-ის ტრასის მონაკვეთის ჩვენებით) წარმოდგენილია ნახაზზე 2.2.1, ხოლო საპროექტო ტრასაზე (ხულოს მუნიციპალიტეტი) ახალი ალტერნატიული 3,730 კმ-ის ტრასის მონაკვეთის 2000 მასშტაბის გენგეგმა წარმოდგენილია ნახაზზე 2.2.2.

სურათი 2.2.1. საპროექტო ტრასის ადგილმდებარეობის რუკა



ნახაზი 2.2.1. გენგეგმა

მასშტაბი 1:20 000



2.3. გაზსადენის ტრასის აღწერა

საპროექტო გაზსადენის ტრასის (54 კმ სიგრძის) საწყის წერტილს წარმოადგენს შუახევის მუნიციპალიტეტის ხიჭაურის დასახლება, საიდანაც მილსადენი მიუყვება შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ანგისა-ახალციხე საავტომობილო გზას.

საპროექტო გაზსადენი ხიჭაურის დასახლებიდან მიუყვება დელტაკომის და სილქნეტის კაბელს. ვინაიდან აღნიშნული კაბელი მოთავსებული მიწაში, უნდა მოხდეს მათი დროებით ამოღება მილსადენის ტრანშეაში მოთავსების შემდგომ კი, კაბელის უკან ჩადება. არსებული წყალსადენის მიღების გადაკვეთა მოხდეს არსებული კომუნიკაციის ქვეშ გატარებით, პროექტის მიხედვით გაზსადენის მილსა და გადასაკვეთ კომუნიკაციას შორის მანძილი არ იქნება ნაკლები 0,2 მ-ზე.

საპროექტო მილსადენის ტრასის აეროთანამგზავრული მონაცემები წარმოდგენილია 2.3.1 და 2.3.2 სურათებზე.

გაზსადენი წარმოადგენს 54 კმ სიგრძის ხაზოვან ნაგებობას. გაზსადენის ზოგიერთი მონაკვეთი (საერთო სიგრძით დაახლოებით 4 კმ) კვეთს რამოდენიმე დასახლებულ პუნქტის ტერიტორიას და კერძოდ: დ. ხულო, დ. შუახევი, სოფლები: ხიჭაური, ნიგაზეული, პაქსაძეები, დიოკნისი, ტაბახმელა, ბოძაური და რიყეთი.

გაზსადენის ტრასა გადაკვეთს 6 ხიდს. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ექვსი არსებული ხიდი.

ცხრილი 2.3.1. არსებული ხიდები

№	ხიდის დასახელება	ადგილმდებარეობა (კმ+მ)		სიგრძე, მ	მილების რაოდენობა და სიგრძე	წაკვეთილობა გენგემაში, °
		დასაწყისი	ბოლო			
1	ხიჭაურის დასახლებასთან ხიდი	0+17;	0+68;	51	(1) 51	90
2	სოფ. ჩანჩხალოსთან ხიდი	9+824;	9+853;	29	(2) 29	90
3	დიაკონიძეების ხიდი	25+905;	25+921;	16	(1) 16	90
4	ღორჯომის ხიდი	27+291;	27+453;	162	(2) 162	90
5	სოფ. იაკობაძეებთან ხიდი	29+924;	29.963;	39	(1)39	90
6	დანისპარაულის ხიდი	42+396;	42+412;	16	(1) 16	90

ხიდის გადაკვეთა მოხდება გაზსადენის მიწისზედა გატარებით და დამაგრდება ხიდის სამშენებლო კონსტრუქციებზე. მილსადენის განთავსების სქემები მოცემულია ნახაზებზე 2.3.1-2.3.6.

გაზსადენის ტრასით, გადაიკვეთება ასევე რამოდენიმე ბოგირი, როგორც მიწისქვეშა, ისე მიწისზედა გატარებით. მილსადენის განთავსების სქემები მოცემულია ნახაზებზე 2.3.7- 2.3.9.


პროექტის მიხედვით მილსადენი მთლიანად მიუყვება არსებულ ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის დერეფანს, რა დროსაც გზა გადაკვეთს როგორც დიდ ასევე პატარა მდინარეებს. მათ შორის დიდი მდინარეებია მდ. აჭარისწყალი, მდ. საციხური, მდ. დიაკონიძე და მდ. ტაბახმელისწყალი. აღსანიშნავია, რომ მდინარეების და ბუნებრივი ხეების გადაკვეთა უპირატესად დაგეგმილია საჰაერო მილსადენით და მდინარეების და ხეების კალაპოტებში სამუშაოების შესრულება არ მოხდება.

გაზსადენის განთავსება დაგეგმილია 1.2-1.4 მ სიღრმის და 0.5-0.7 მ სიგანის თხრილში. მილსადენი განთავსებული იქნება ქვიშის ფენაში, ხოლო დანარჩენის შევსება მოხდება ექსკავირებული ქანებით.


საჭიროების შემთხვევაში გაზსადენის ტრასაში გაზის მიწოდების მთლიანად შეწყვეტის ან გაზსადენის ცალკეული უბნების გამორთვის მიზნით გაზსადენის ტრასაზე გათვალისწინებულია გაზის მიწოდების გამომრთველი ონკანების დამონტაჟება. გაზსადენის ტრასაში გაზის მიწოდების მთლიანად შეწყვეტა მოხდება გაზგამანაწილებელი სადგურიდან გამომავალ $d=300$ მმ გაზსადენზე გათვალისწინებული გამომრთველი ონკანით.





დაპროექტებულ გაზსადენის ტრასაზე ცალკეული უბნების გამორთვის მიზნით $d=300$ PN-25 ონკანები მოეწყობა 10-ადგილას: ყველა ონკანი მოეწყობა ფოლადის მიწისზედა გაზსადენზე. ონკანები აღჭურვილია ხელის ამძრავით და შესაბამისად არის მათი ხელით მართვის შესაძლებლობა. გაზის მიწოდების გამომრთველი ონკანების დაყენება გათვალისწინებულია გაზსადენის ტრასის გასწვრივ მდებარე, ხიდებზე გადასასვლელთან.

ნახაზი 2.3.7 . გაზსადენის მილის განთავსება ბოგირის ქვეშ




ნახაზი 2.3.8. მილსადენის განთავსება მიწის ქვეშ





ნახაზი 2.3.9. საჭაერო მილის განთავსება საყრდენზე




საპროექტო ტრასაზე (54 კმ) ახალი ალტერნატიული 3,730 კმ-ის ტრასის (ხულოს მუნიციპალიტეტი) სიტუაციური სქემა წარმოდგენილია ნახაზზე 2.3.9. ხოლო გენგეგმა (ცალკეული ფრაგმენტებით) წარმოდგენილია ნახაზზე 2.3.10.

პროექტის მიხედვით, მილსადენის ძირითადი ნაწილი განთავსდება მიწისქვეშა თხრილში. გაზსადენის განთავსება დაგეგმილია $h=2.0$ მ სიღრმის და 0.8 მ სიგანის თხრილში. მილსადენი განთავსებული იქნება ქვიშის ფენაში, ხოლო დანარჩენის შევსება მოხდება ექსკავირებული ქანებით. $h = 2.0$ მ სიღრმის ხრეშის საფარიან ტრანშეიში $d=300$ მმ ფოლადის მილების ჩაწყობის და ტრანშეის შევსების სქემა წარმოდგენილია ნახაზზე 2.3.11. ხოლო ნახაზზე 2.3.12 წარმოდგენილია ზღუდარის მოწყობის სქემა.

გაზის წნევის მარეგულირებელი კარადის (სქემა №1 და №2) წარმოდგენილია ნახაზებზე 2.3.13-2.3.14.

ნახაზი 2.3.9. ალტერნატიული 3,730 კმ-ის ტრასის (ხულოს მუნიციპალიტეტი) სიტუაციური სქემა







შპს "ჯეოკონი"



შპს "ჯეოკონი"




შპს "ჯეოკონი"



შპს "ჯეოკონო"

ნახაზი 2.3.11. მილსადენის განთავსება მიწის ქვეშ



ნახაზი 2.3.12. ზღუდარის მოწყობის სქემა

ზღუდარის მოწყობის სქემა

* ყველა ზომა მიცემულია მეტრებში.
შენიშვნა: მქონებელ კონსტრუქტორს აქვს ვალდებულება იმ მასალისა და მოწყობის მოწყობისა და მონტაჟზე, რომელსაც თვითდასწრებს მქონებლის პროექტი და რომლის გადამწევეც არ მოხდება სტკის მიერ

წინამდებარე პროექტი გამოშვებულია მოქმედი ნორმების, წესების, ინსტრუქციების, სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხო ექსპლუატაციას პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაცვის შემთხვევაში.

მი. სპეციალისტი *მი. ლომიძე*

შ.ს.ს. "გაზპრომგაზი 2009"

მანძილი კუთხე (გრადუსებში)	მანძილი, L (მეტრებში)
9°	40
10°	31
11°	23
12°	19
13°	15
14°	13
15°	11
16°	10
17°	10
18°	8
19°	8
20°	8
21°	7
>22°	6

№	დასახელება	ტექნიკური მონაცემები	რაოდ.	დანაწილ. ერთ.
1	ბილი	ბილი კლასიკის, ღ=1000მ	10	მ
2	ტომარა 500X300X135მ	ძირვა - ცემენტი	118	ც
3	ლორწი	0.025	----	მ ²
4	ბრუნტი	ბინერალური	----	----

მანძილი	მანძილი	მანძილი	მანძილი	მანძილი
სტარტი	შეწყობი	შენიშნ. რ-ბა	თარიღი	მანძილი
მ.ს.	8	8	15.10.18	----

გოდერძის უღელტეხილი - კურორტი „გოდერძი“-მდე გაზსადენის ალტერნატიული ახალი 3,730 კმ-ის ტრასა გაივლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაწილობრივ სათხილამურო ტრასაზე). გაზსადენის საწყის წერტილს კოორდინატებია $X = 292598$ $Y = 4611719$, ხოლო საბოლოო $X = 291343$, $Y = 4612435$. მონაცემები საკვლევი ტერიტორიის მიწათსარგებლობის შესახებ წარმოდგენილია ცხრილში 2.3.2. საკვლევი ტერიტორიის ხედები ვწარმოდგენილია სურათზე 2.3.1.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილი ექნება ახალი, არა ანთროპოგენული ზეგავლენის მიწის ათვისებას, რაც გარკვეულ ზემოქმედებას იქონიებს არსებულ ნიადაგზე. მილსადენის განთავსება დაგეგმილია 2,0 მ სიღრმის თხრილში, რაც თავის მხრივ გულისხმობს მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედებას. მიწის აღნიშნულ სიღრმემდე ამოღების პროცესში ნიადაგის და გრუნტის ხარისხის გაუარესება შეიძლება გამოიწვიოს ნარჩენების არასწორმა მართვამ და გაუმართავი სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციამაც.

გაზსადენის 3,730 კმ-ის სიგრძის ტრასის სიახლოვეს არ არის განლაგებული არც ერთ მჭიდროდ დასახლებულ პუნქტი. შესაბამისად მშენებლობის ეტაპზე ადგილობრივ მოსახლეობაზე ჰაერის დაბინძურებით და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გაზსადენის 3,730 კმ-ის სიგრძის ტრასა არ კვეთს არც ერთ (როგორც დიდ ასევე პატარა მდინარეს) და ასევე არც ერთ ბუნებრივი ხევს და როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მილსადენის ძირითადი ნაწილი განთავსდება მიწისქვეშა თხრილში. შესაბამისად მდინარეების და ხევების კალაპოტებში სამუშაოების შესრულება არ მოხდება.

საკვლევი ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მოიცავს გორაკ ბორცვიან რელიეფს. სამშენებლო სამუშაოების ჩატარებამდე საჭირო იქნება გეოლოგიური და გეომორფოლოგიური გარემოს კვლევა, შესაძლო რისკ ფაქტორების გაანალიზება.

გაზსადენის ტრასის მშენებლობის დაწყებამდე მოსამზადებელი სამუშაოები გულისხმობს: გაზსადენის ტრასისათვის სამშენებლო ზოლის გამოყოფას; გეოდეზიურ დაკვალვას; სამშენებლო ორგანიზაციის სამუშაო ადგილის მოწყობას; გაზსადენის ტრასის ზოლის და მისასვლელი გზების გასუფთავებას.

სამშენებლო მასალების (ძირითადად გაზსადენის მილების) დასაწყობებისათვის დაგეგმილია სამშენებლო მოედნის მოწყობა. სამშენებლო მოედნების ტერიტორიის ადგილმდებარეობა განისაზღვრება სამშენებლო ორგანიზაციის მიერ. პროექტის მიხედვით, სამშენებლო მოედანზე არ არის დაგეგმილი ბეტონის კვანძის ან სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს მოწყობა. მშენებლობისათვის საჭირო ინერტული მასალები და ბეტონის ნარევი შემოტანილი იქნება სხვა იურიდიული პირების საწარმოებიდან. პროექტის ფარგლებში არ იგეგმება მუშათა საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

საპროექტო რეგიონი გამოირჩევა ცხოველთა სახეობრივი მრავალფეროვნებით, შესაბამისად საჭირო იქნება შემარბილებელი ღონისძიებების გატარება:

- ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტის და სამშენებლო უბნების საზღვრების მკაცრი დაცვა;
- მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის შერჩევა ცხოველებზე უშუალო ზემოქმედების ალბათობის (დაჯახება) შესამცირებლად;
- ორმოები, ტრანშეები და სხვა შემოზღუდულ იქნას რაიმე წინააღმდეგობით ცხოველების შიგ ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად - დიდი ზომის სახეობებისათვის მკვეთრი ფერის ლენტი, მცირე ზომის ცხოველებისათვის ყველანაირი ბრტყელი მასალა -თუნუქი, პოლიეთილენი და სხვ. ტრანშეებსა და ორმოებში ღამით ჩამვებული იქნას გრძელი ფიცრები ან ხის მორები, იმისთვის, რომ წვრილ ცხოველებს საშუალება ჰქონდეთ ამოვიდნენ იქიდან. ორმოები და ტრანშეები შემოწმდეს მიწით შევსების წინ;

- მიმართული შუქის მინიმალური გამოყენება სინათლის გავრცელების შემცირების მიზნით;
- ისეთი სამუშაოები, რაც იწვევს ცხოველების ზედმეტად შემფოთებას, უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მოკლე ვადებში (მაგ. მაღალი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები), შესაძლებლობების მიხედვით არაგამრავლების პერიოდში;
- ნარჩენების სათანადო მენეჯმენტი.

საპროექტო მილსადენის ახალი ალტერნატიული 3,730 კმ-ის ტრასის მონაკვეთი მოქცეულია ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული „გოდერძის“ უბნის მიმდებარე არეალის ფარგლებში. შესაბამისად მოცემულ დაცულ ტერიტორიაზე ზემოქმედების რისკების შემცირებისათვის განხორციელდება წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, ხმაურის გავრცელების, მცენარეულ საფარზე ზემოქმედების და ა.შ. შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურად გატარება.

მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია, გარკვეული რაოდენობის როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო საშუალებების რემონტთან ან გაუმართავი ტრანსპორტით დაბინძურებული ნიადაგის და გრუნტის მოხსნასთან, ასევე შედუღების და სამღებრო სამუშაოების შესრულებასთან. ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია გარემოს ცალკეული რეცეპტორების ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება და ამდენად აუცილებელია ნარჩენების სწორი მართვის გეგმის დასახვა.

პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე მშენებლობის, გაზსადენი მილის გამოცდის და ექსპლუატაციის პროცესში სხვადასხვა სახის ავარიის რისკები არსებობს. თუმცა ასეთი სახის რისკებს მასშტაბური ხასიათი არ ექნება.

ცხრილი 2.3.2. მონაცემები საკვლევი ტერიტორიის მიწათსარგებლობის შესახებ

№	ნაკვეთის საკადასტრო კოდი	ზონა	სექტორი	კვარტ.	ნაკვეთი	მისამართი	ნაკვეთის დანიშნულება	ნაკვეთის ფართობი, კვ.მ.	მესაკუთრე	საპროექტო ტერიტორიიდან დაშორების მანძილი, მ
01	23. 14. 36.101	23 ხულო	14 ბეშუმი	36	101	ხულოს რაიონი, გოდერძის უღელტეხილის მიმდებარედ	არასასოფლო- სამეურნეო	42128.00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	0
02	23. 14. 36.477	23 ხულო	14 ბეშუმი	36	477	ხულოს რაიონი, გოდერძის უღელტეხილი, კურორტი ბეშუმი (ზანკა)	არასასოფლო- სამეურნეო	16 393 772.00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	0
03	23. 01. 34.448	23 ხულო	01 რიყეთი	34	448	ხულოს რაიონი, სოფ. დანისპარაული (ზანკა); ხულოს რაიონი, რიყეთის თემი; მუნიციპალიტეტი ხულო, კურორტი ბეშუმი; რაიონი ხულო, კურორტი ბეშუმი.	არასასოფლო- სამეურნეო	803 623.00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	0

წყარო : <http://napr.gov.ge>

სურათი 2.3.1. საკვლევ ტერიტორიის ხედები



შპს "ჯეოკონი"



მშპს "ჯეოკონტო"

2.4. დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსები

პროექტის განხორციელების შედეგად გამოყენებული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. მონაცემები საკვლევი ტერიტორიის მიწათსარგებლობის შესახებ წარმოდგენილია ცხრილში 2.3.1.

3. გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება

შუახვევი - ხულო (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) $P=6კგ/სმ^2$ გაზსადენის სამშენებლო დოკუმენტის ქსელის ცვლილებების პროექტის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება შესრულებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რაც მოცემულია ქვემოთ:

	საქმიანობის მახასიათებლები	გარემოზე ზემოქმედების რისკის არსებობა		მოკლე რეზიუმე
		დიახ	არა	
1.0. საქმიანობის მასშტაბი				
1.1.	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		+	კუმულაციურ ზემოქმედებაში იგულისხმება განსახილველი პროექტის და საკვლევ რეგიონის ფარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს. თუ გავითვალისწინებთ, გაზსადენის განთავსების დერეფანში მსგავსი ობიექტი არ ფუნქციონირებს, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
1.2	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება		+	პროექტის განხორციელების შედეგად გამოყენებული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. მონაცემები საკვლევ ტერიტორიის მიწათსარგებლობის შესახებ წარმოდგენილია ცხრილში 2.3.1.
1.3	ნარჩენების წარმოქმნა		+	მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია, გარკვეული რაოდენობის როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო საშუალებების რემონტთან ან გაუმართავი ტრანსპორტით დაბინძურებული ნიადაგის და გრუნტის მოხსნასთან, ასევე შედეგების და სამდებრო სამუშაოების შესრულებასთან. ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია გარემოს ცალკეული რეცეპტორების ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება და ამდენად აუცილებელია ნარჩენების სწორი მართვის გეგმის განხორციელება.
1.4	გარემოს დაბინძურება და ხმაური		+	სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში გარემოს (წყალი, ნიადაგი) დაბინძურების რისკები ძირითადად დაკავშირებული იქნება გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებს და ხმაურის გავრცელებას ადგილი ექნება სამშენებლო ტექნიკის გამოყენების და ტვირთების ტრანსპორტირების პროცესში. ექსპლუატაციის პერიოდში გარემოს (წყალი, ნიადაგი) დაბინძურების რისკები ძირითადად დაკავშირებული იქნება სარემონტო-პროფილაქტიკურ სამუშაოებთან. პროექტის მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების და

				ხმაურის გამომწვევი რაიმე სტაციონალური წყაროს დამონტაჟება არ იგეგმება.
1.5	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		+	პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე მშენებლობის, გაზსადენი მილის გამოცდის და ექსპლუატაციის პროცესში სხვადასხვა სახის ავარიის რისკები არსებობს. თუმცა ასეთი სახის რისკებს მასშტაბური ხასიათი არ ექნება.
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა				
2.1	ჭარბტენიან ტერიტორიასთან		+	საპროექტო ტერიტორია არ ესაზღვრება ჭარბტენიან ტერიტორიებს. ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		+	დაგეგმილი საქმიანობიდან და დაცილების მანძილებიდან გამომდინარე შავ ზღვაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		+	საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები
2.4	დაცულ ტერიტორიებთან		+	მილსადენის განთავსების დერეფანი მოქცეულია ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული „გოდერძის“ უბნის მიმდებარე არეალის ფარგლებში. შესაბამისად მოცემულ დაცულ ტერიტორიაზე ზემოქმედების რისკების შემცირებისათვის განხორციელდება წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, ხმაურის გავრცელების, მცენარეულ საფარზე ზემოქმედების და ა.შ. შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურად გატარება.
2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		+	გაზსადენის ალტერნატიული 3,730 კმ-ის სიგრძის ტრასის სიახლოვეს არ არის განლაგებული არც ერთ მჭიდროდ დასახლებულ პუნქტი. შესაბამისად მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილობრივ მოსახლეობაზე ჰაერის დაბინძურებით და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
2.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		+	ტერიტორიის შესწავლის შედეგად ხილული ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები არ გამოვლენილა. საწარმოს მშენებლობის პროცესში რაიმე არტეფაქტის გვიანი გამოვლენის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მოიწვიოს ამ საქმიანობაზე საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს სპეციალისტები, არქეოლოგიური ძეგლის მნიშვნელობის დადგენისა და სამუშაოების გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის.
3. საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი				
3.1	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		+	საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.
3.2	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		+	შესაბამისი გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინების პირობებში, დაგეგმილი საქმიანობა (როგორც მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპი) გარემოზე განსაკუთრებით მაღალ, შეუქცევად ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

